13/08/2024

MES 0 24 0000968637

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ-მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა:
რომან ჯაიანი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

შპს - მომავლის სკოლა:
ნატო პაპიაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლა:
მზია ოხანაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა:
ლელა ბიბილური - სკოლის დირექტორი

შპს - დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ,,ივერია":
ნინო გერგიძე-რიჟამაძე - სკოლის დირექტორი

შპს - ქუთაისის სკოლა მერმისი:
ლალი აბაშიძე - სკოლის დირექტორი

შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია:

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ-მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა:

ა) მარინე ჯანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) როლანდ შავაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მიმოზა ტყებუჩავა (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლა:

ა) ირმა ტატიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ცისანა კობახიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო შუბლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა:

ა) მაკა ნადარეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა გორდულაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ელისო შურღაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მანანა სეხნიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს - დავით რიჟამაძი სსახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერია":

ა) ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს - ქუთაისის სკოლა მერმისი:

ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაკა ნადარეიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლაშა სარალიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 31 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ-მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.შპს - დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.შპს - ქუთაისის სკოლა მერმისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6.ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიისაგან გამოთხოვილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგების განხილვა;
7.შპს - მომავლის სკოლის ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დააყენა შუამდგომლობა ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიისაგან გამოთხოვილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგების განხილვის გადადებასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაფიქსირებული გარემოებების შესახებ საჭირო იყო სკოლის დირექტორისგან საბჭოს წევრებს მიეღოთ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხი, შესაბამისად, ვინაიდან, საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა სკოლის წარმომადგენელი, საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს აღნიშნული საკითხის გადადება.
საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დააყენა შუამდგომლობა შპს - მომავლის სკოლის ფუნქციონირების შეწყვეტის საკითხი განეხილათ მეორე საკითხად.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობები და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ-მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - მომავლის სკოლის ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - ქუთაისის სკოლა მერმისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. სსიპ -მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩაის მეურნეობაში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი. მისი თქმით, საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 29 მოსწავლე.

ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა, აღნიშნა, რომ სსიპ - მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა 1989 წლიდან ფუნქციონირებდა და 2011 წელს მიენიჭა აგვისტოს ომში დაღუპული გმირის - მალხაზ აბაშიძის სახელი.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოება ახორციელებდა ერთ-ერთი ფართო მასშტაბის მქონე საერთაშორისო პროექტს „GLOBAL ACTION DAYS 2024“, ასევე, სკოლა მესამედ იღებდა მონაწილეობას გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) მიერ ინიციირებულ მოქმედების დღეების ათდღიან მარათონში. გარდა ამისა, სკოლაში ხორციელდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა: „დაიცავი წყალი, დაიცავი სიცოცხლე“, “არა ბარბარიზმებს“, კალიგრაფიის კონკურსი. კითხვის დღე - იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები, ნახატების შექმნა ქართულ ანბანზე და გამოფენა, ძველი ქართული დამწერლობის შესწავლა და მოსწავლეთა მიერ წინადადებების ასომთავრულით წერა, კედლის გაზეთის გამოშვება: საინტერესო მასალები ქართული ენის შესახებ.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ერთსართულიანი, თანამედროვე სტანდარტებით აგებული, ფართო, დაცული და კეთილმოწყობილი ეზოთი. შენობას ჰქონდა ორი პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები, სათადარიგო გასასვლელები, რეკრეაციული ზონები და სპორტული მოედანი. სკოლას ჰქონდა სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. ექსპერტის თქმით, სკოლას ასევე ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების დაფა.

ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები); მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლას ურჩია, დაეხვეწა მოსწავლეთა შეფასების სისტემა და კლას-კომპლექტების საკითხი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა აღნიშნულის თაობაზე.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, ხაზი გაუსვა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკას და აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, როდესაც მცირეკონტიგენტიანი სკოლა წარმატებით ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს. ასევე, საბჭოს წევრმა მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, საშუალო საფეხურის კურიკულუმებთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოს წევრებისთვის.
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, მიმოზა ტყებუჩავას, განმარტებით, სკოლაში არ იყო არც ერთი მეთერთმეტე კლასელი, თუმცა, მიუხედავად ამისა, შემუშავებული ჰქონდათ შესაბამისი კურიკულუმები. შეფასების სისტემებთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლებს ჰქონდა მზაობა გამოვლენილი უზუსტობების გამოსწორებისთვის, ამასთან, აპირებდნენ კონსულტაციის გავლას მასწავლებლის სახლთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რამდენი პირველკლასელი მიიღო დაწესებულებამ გასულ სასწავლო წელს და იყო თუ არა კლას-კომპლექტები შემუშავებული. გარდა ამისა, ჰყავდა თუ არა სსსმ მოსწავლე და რა გეგმა ჰქონდა შეფასების სისტემის გაუმჯობესებისთვის.
ექსპერტ მარინე ჯანაშვილის თქმით, სკოლას ჰყავდა ერთი სსსმ მოსწავლე, ასევე, საავტორიზაციო ვიზიტის დროს სამი პირველკლასელი მოსწავლე იყო. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით კი, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, რომან ჯაიანმა, განმარტა, რომ სკოლა გაითვალისწინებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, ასახავდნენ თუ არა მოსწავლეთა პირად საქმეებში მოსწავლეთა წარმატებებს და ასევე, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, იყო თუ არა დაწესებულებაში კვების ობიექტი.
მოსწავლეთა წარმატებების პირად საქმეებში ასახვასთან დაკავშირებით მარინე ჯანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ასეთი პრაქტიკა და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შესწავლილი იყო შესაბამისი ჩანაწერები და სიგელები. რაც შეეხებოდა კვების ობიექტს, სკოლას არ ჰქონდა მსგავსი ობიექტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო 17:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლას (ს/კ: 244970652) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხონი, სოფელი ჩაის მეურნეობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხონი, სოფელი ჩაის მეურნეობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხონი, სოფელი ჩაის მეურნეობა

2. შპს - მომავლის სკოლის ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, 2024 წლის 23 ივლისს შპს - მომავლის სკოლამ, განათლების გნვითარების ეროვნულ ცენტრში, წარადგინა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებას შეექმნა ფინანსური პრობლემა, რის გამოც 2024-2025 სასწავლო წლიდან წყვეტდა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას, ხოლო მოსწავლეები გადასული იყვნენ სხვა სკოლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ დამატებით პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელს არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მომავლის სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, შპს - მომავლის სკოლას (ს/კ: 211356272) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

3. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 24 და 25 ივნისს. სკოლა მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 500 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი.
ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო უსაფრთხო, კეთილგანწყობილი გარემო, აქტიური სასკოლო საზოგადოებითა და კვალიფიციური თანამშრომლებით.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი)(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მეტწილი შესაბამისობით შეფასდა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები. რაც შეეხებოდა მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტს, შეფასდა , როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მე-3 სტანდარტი კი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, ვინაიდან

კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა ასევე, ნაწილობრივ შესაბამისად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მისიაში ყურადღება იყო გამახვილებული რეგიონალური და ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით სამეწარმეო და ტურისტული ჰაბის შექმნაზე. ექსპერტმა ასევე, წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სრულად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლაში კეთილმოწყობილი გარემო იყო. სკოლას ასევე ჰქონდა მზაობა, გარე სპორტული მოედნის მოწყობის და ამ მიზნით მიმართა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა სკოლის მისიით, კერძოდ, რამდენად იყო საჯარო სკოლისთვის შესაძლებელი ტურისტული ჰაბის შექმნა და საერთაშორისო თანამშრომლობა, ასევე, სკოლას მისცა რჩევა მეტად დაეხვეწათ კურიკულუმები.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ეკატერინე გავაშელიშვილის განმარტებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა კურიკულუმებთან დაკავშირებული რჩევები და გადმოაგზავნა განახლებული მტკიცებულებები, შესაბამისად, სკოლას სხვა რჩევების გათვალისწინებისთვის ჰქონდა მზაობა. რაც შეეხებოდა სკოლის მისიას, დაწესებულების დირექტორის, მზია ოხანაშვილის, თქმით, ტურისტული ჰაბის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა სკოლის გეოგრაფიული მდებარეობა, რადგან ახლოს იყო ტურისტულ ცენტრთან და მოსწავლეებს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, თუმცა, დაეთანხმა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ მისიას ნამდვილად ესაჭიროებოდა რევიზია.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა ჩართული სასკოლო საზოგადოება შესყიდვების გეგმის მომზადებაში. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ შესყიდვების გეგმა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებით დგინდებოდა და მის მომზადებაში ჩართულები იყვნენ როგორც კათედრები, ასევე თვითმმართველობის წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა სკოლას შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ საბჭოს სხდომის დროისთვის (31 ივლისი) სკოლას ჰქონდა შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ხოლო იმ ხარვეზებზე, რომელიც ეხებოდა ინფრასტრუქტურას, დაწესებულებას მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:20
დასრულების დრო 17:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049065) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვახვრელი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვახვრელი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი,სოფელი ქვახვრელი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2026 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ 1.1; 1.2; 3.3; 3.4; 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2026 წლის აგვისტოში, კერძოდ, შეიმუშაოს მისია, ხედვა და ღირებულებები, უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება, შეიმუშაოს ახალი შინაგანაწესი, ასევე, უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული უსაფრთხოების გეგმის შეთანხმება, ავარიული დამხმარე ნაგებობის დემონტაჟი, ეზოს შემოღობვა და ექიმის კაბინეტის მედიკამენტებით აღჭურვა, ასევე, მოაწესრიგოს სკოლის ინფრასტრუქტურა, სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. კერძოდ, უზრუნველყოს სკოლაში არსებული ყველა სივრცის ადაპტირება ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის - მოაწყოს ლიფტი/შიდა პანდუსი.

4.სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის
განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 24 და 25 ივნისს. ექსპერტის თქმით, დაწესებულება სასწავლო პროცესს ახორციელებდა ორ დამოუკიდებელ შენობაში - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშში და ქვემო არცევში, სოფელ ქვეშში სწავლება მიმდინარეობდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ხოლო ქვემო არცევში მხოლოდ დაწყებით საფეხურზე. სწავლების ენა იყო ქართული.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 400 მოსწავლეს (350 მოსწავლე სოფელ ქვეშის შენობაში, ხოლო 50 ქვემო არცევში). აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ ორივე შენობაში ერთი და იგივე მასწავლებლები იყვნენ დასაქმებული.
ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების ძლიერ მხარეებზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა არაფორმალური განათლების მიმართულებით მოსწავლეთა მხარდაჭერას,

ვინაიდან შექმნილი იყო კლუბები და ამასთანავე, მოგებული და განხორციელებული ჰქონდათ საგრანტო პროექტები. ასევე, სკოლაში ისწავლებოდა საგანი „თავდაცვა და უსაფრთხოება“. ექსპერტის თქმით, სკოლის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (საზღვრისპირა მდებარეობა) განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო, პატრიოტული სულისკვეთების პროექტები და აქტივობები. სწორედ ამ მიზნით, მოსწავლეები ეწვივნენ გორში სამხედრო ბრიგადას, სადაც მათ დაათვალიერეს სამხედრო ტექნიკა, თავდაცვის საშუალებები და საველე ბანაკი. თებერვალში საოკუპაციო კვირეულთან დაკავშირებით, თემატური მასალის განხილვისა და გაცნობის შემდეგ ეწვივნენ 2008 წლის შინდისის გმირების მემორიალს, გორში საბრძოლო დიდების მუზეუმს.
ექსპერტმა მაკა ნადარეიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები, შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, ვინაიდან კომპონენტი 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაცია აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, გამოცემული ბრძანებები შესაბამისობაში მოეყვანათ კანონმდებლობასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:50
დასრულების დრო 18:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშისსაჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის

შესაბამისად, სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას (ს/კ: 218047101) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვეში, გორის რაიონი სოფელი ქვემო არცევი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვეში
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვეში

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგიცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2026 წლის აგვისტოში, კერძოდ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, რესურსოთახის, სააქტო დარბაზის ხელმისაწვდომობა ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

5. შპს - დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12 ივნისს. ვიზიტის საფუძველი იყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში 2024 წლის 28 მარტს გამოგზავნილი კორესპონდენცია. ასევე, შემოწმების ფარგლებს წარმოადგენდა აღნიშნულ კორესპონდენციაში ასახული გარემოებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-3 სტანდარტის შემოწმება, კერძოდ 3.1 (პერსონალის მართვა); 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და 3.7 (ფინანსური რესურსები) კომპონენტების შესაბამისობის დადგენა. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N20-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 150-ს.
ექსპერტმა წარმოადგინა შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, სრულად აღჭურვილი კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული კორესპონდენციის შინაარსის შესახებ, მისი თქმით, 2013 წელს დაწესებულებამ შპს „ანალიზხელსაწყოსგან“ (რომლის 100% წილის მფლობელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყო), 10 წლის ვადით გააფორმა იჯარის ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 2500 კვ.მ ფართზე, რომელიც მდებარეობდა კახეთის გზატკეცილი N36-ში. აღნიშნულ ფართში სკოლამ ასევე გააკეთა რემონტი. ექსპერტის თქმით, შპს „ანალიზხელსაწყოს“ უძრავ/მოძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაეცა ტექნიკურ უნივერსიტეტს (საკუთრება ისევ სახელმწიფოსი იყო) რის გამოც, ქირავნობის ხელშეკრულებაში შეთანხმების საფუძველზე შევიდა ცვლილება (24.04.2015) და შპს „ანალიზხელსაწყო“ ჩანაცვლდა ტექნიკური უნივერსიტეტით. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნაქირავები ფართი აღმოჩნდა 2500 კვ.მ-ზე ნაკლები, რის გამოც ორჯერ განხორციელდა ნაქირავები ფართის ხელშეკრულების კორექტირება შეთანხმებებით (06.07.2015 და 29.12.2016) და შესაბამისად დაიკლო ქირავნობის გადასახადმაც. სკოლა იხდიდა ქირის გადასახადს, თუმცა რჩებოდა გადაუხდელი თვეებიც, რის გამოც სკოლას დაუგროვდა გადასახდელი თანხა. სადაო გახდა გადასახდელი თანხის ოდენობა, რის შემდეგაც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მიმართა სასამართლოს (პირველი სარჩელი), რომელმაც 2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით სკოლას განუსაზღვრა გადასახდელი თანხის გარკვეული ოდენობა (ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თანხის რაოდენობის ნაწილში). სკოლამ აღიარა გადასახდელი თანხა და დაიწყო მისი გადახდა. წარმოდგენილ პროცესებს

დაერთო პანდემიის პერიოდი, რის გამოც სკოლა კვლავ ვერ იხდიდა გადასახადს, შესაბამისად, 2021 წლის აგვისტოში ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დაწესებულებას ფართის ვადაზე ადრე გათავისუფლება მოსთხოვა, აღნიშნული დააკმაყოფილა სკოლამ და გადავიდა სხვა შენობაში.
2021 წლის 15 ოქტომბრის მთავრობის N507 დადგენილების გამოსვლის შემდეგ, სკოლასა და ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დავის საგანი კვლავ გახდა გადასახდელი ვალის ოდენობა. სკოლა ითხოვდა, რომ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე 2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 21 მარტის პერიოდში გადახდილი თანხა უნივერსიტეტს ჩაეთვალა სხვა გადაუხდელი პერიოდის გადასახადში, რაზეც ტექნიკური უნივერსიტეტი არ თანხმდებოდა. ვალის შემცირებას სკოლა ითხოვდა იმ მოტივითაც, რომ ქირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით და სხვა ფართში გადასვლით (სადაც ასევე მოუწია რემონტის გაკეთება) სკოლამ მიიღო გარკვეული ზარალი, რომელიც უნდა გამოქვითულიყო გადასახდელი ვალიდან.
2023 წლის 10 მაისის სარჩელის საფუძველზე, თბილისის სააღსრულებლო ბიუროს გადაწყვეტილებით, დაყადაღებული იყო სკოლის საბანკო ანგარიშები ტექნიკური უნივერსიტეტის სასარგებლოდ, რაც გულისხმობდა იმას, რომ სკოლის ანგარიშზე ჩარიცხული ყველა თანხა მომენტალურად ირიცხებოდა ტექნიკური უნივერსიტეტის ანგარიშზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროცესების პარალელურად მიმდინარეობდა სასამართლო დავა გადასახდელი თანხის შესახებ.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ გააჟღერა სკოლის წერილში დაფიქსირებული მოთხოვნა, კერძოდ, ვიდრე დადგინდებოდა გადასახდელი თანხის ოდენობა, მოხსნილიყო ყადაღა საბანკო ანგარიშებიდან, რათა სკოლას შესძლებოდა ჩვეულებრივ ფუნქციონირება, მათ შორის თანამშრომლებისთვის გადასახდელი ანაზღაურებების გაცემა და ვალის განწილვადება. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, სკოლამ 2024 წლის 18 მარტის 01/75 წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრს, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ დირექტორ და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების შემოსავალს წარმოადგენდა იმ მოსწავლეთა მშობლების გადასახადები, რომლებიც ნაღდი ანგარიშსწორებით იხდიდნენ სწავლის საფასურს.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ ის ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყი როგორც „არ შეესაბამება“ (3.1.1.1; 3.1.1.2; 3.1.2.4 და 3.7.1.2) ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც შესაბამისად, რაც შეეხებოდა 3.1.2.3 ინდიკატორს არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, ვინაიდან დაწესებულებამ განსაზღვრა შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადა და აქტივობები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ამგვარი პირობებით სასწავლო პროცესის გაგრძელება.
დაწესებულების წარმომადგენლის ნინო გერგიძე-რიჟამაძის განმარტებით, შეზღუდული ბიუჯეტის მიუხედავად სკოლა წარმატებით ართმევდა თავს სხვადასხვა სირთულეს და ფარავდა ყველა საჭირო გადასახადს, თუმცა სადაო თანხა ჯერ კიდევ გადასახდელი რჩებოდათ.
აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების ეროვნული ბიურო დაწესებულებას დააკისრებდა თანხის სრულად დაფარვას, რა გავლენას იქონიებდა სკოლის ფუნქციონირებაზე.
სკოლის წარმომადგენლის თქმით, სკოლას მომავალი სასწავლო წლიდან 170 მოსწავლე ეყოლებოდა და უფრო მყარი ფინანსური მდგომარეობით, გადასახადებზე პრობლემა არ შეექმნებოდათ.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ მსგავს კრიტიკულ სიტუაციაშიც კი მშობლებმა არ გადაიყვანეს შვილები სხვა სკოლაში.

სკოლის დირექტორის, ნინო გერგიძე-რიჟამაძის, განმარტებით, მშობლები აფასებდნენ დაწესებულების განსაკუთრებულ მიდგომას მოსწავლეებისადმი. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარდა მშობლებისა, სკოლას ასეთ კრიტიკულ პერიოდში მასწავლებლებიც მაქსიმალურად უჭერდნენ მხარს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 18:15
დასრულების დრო 18:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიას მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიას (სკ: 206078965) მონიტორინგთან დაკავშირებით.

6. შპს - ქუთაისის სკოლა მერმისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგეგმიური მონიტორინგის

ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 ივნისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება, რომლითაც ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მე-2 სტანდარტის (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შესაბამისობის შეფასება. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას I შესახვევი N8-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს, სკოლაში, აქტიური სტატუსის მქონე 154 მოსწავლე იყო.
ექსპერტის, ზვიად ბერიძის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი მტკიცებულებების გაზიარების შედეგად ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა სრული შესაბამისობით, ასევე, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევები, აღწერილი იყო ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, როგორი იყო მზაობა რჩევების გათვალისწინებისთვის. სკოლის დირექტორის, ლალი აბაშიძის თქმით, სკოლას დაწყებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევების გათვალისწინება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 18:40
დასრულების დრო 18:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის სკოლა მერმისის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ქუთაისის სკოლა მერმისის (სკ: 212702912) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:00საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა